წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი 1915 წ. № 116

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакції „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.
მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.
**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.
კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ახალი კლუბის“
მამასახლისთა საბჭო

ამით აცნობებს კლუბის წევრთა, რომ წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობისა გამო 11 ოქტომბერს არ შესდგა სხდომა. კლუბის წევრთა საგანგებო კრება დაინიშნა **კვირას 18 ამა ოქტომბრისათვის.** კრება დაიწყება კლუბის სადგომში, დღითი 12 საათზე. კლუბის წესდების მე-29—8 თანახმად კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწრას. განსახილველია: მიმდინარე საქმეები და არჩევნები წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა.

ვკისრულობთ
გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები
სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო
„კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.
აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაქენებთ ბინგლს.
ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.
ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.
სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.
სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

ახლად დაარსებული საამხანაგო
ფქვილის საწყობი „რაჭა“
ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —17

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.
„საქართველოს“ რედაქცია.

გადაწერას საწერ მანქანის
საშვალებით და საწერ მანქანაზე
მუშაობის სწავლებას
ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. ბვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

ჩვეულებრივ
ვასწავლი
ქართულ
„სიმღერა-გალობას“
და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევაც შეიძლება ეკლესიებში და კონცერტებზე. ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხეთ
**მიხეილ კავსაძესთან**
ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის შკოლის შენობაში, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით, საღამოს 7—9 ს.-მდე კვირა-უქმით ანჩხატის ტაძარში, სადაც მუდმივ გალობს გუნდის ნაწილი. როგორც ახლებს, ისე ძველ ჩემ გუნდის წევრთ ვთხოვ მობრძანდნენ აღნიშნულ დღეებში.
**ვასწავლი მუშა ხალხსაც.**

## მეორე პროცესი

გუშინ დეპეშამ გვაცნობა აჭარელთა გასამართლების მეორე პროცესის დასასრული. ბათომის ციხის სასამართლომ 49 ბრალდებულიდან დამნაშავედ იცნო 33 კაცი. აქედან სამს სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს, 27 კაცს უვადო კატორღა, სამს კიდევ 15 წლის კატორღა. ამნაირად, სამართალმა თავისი მსჯავრი დასდო, მსჯავრი, რომელიც, უეჭველია, სხვა დროს და სხვა პირობებში სულ სხვა ხასიათისა იქნებოდა.

აჭარელთა თავზე მოხვეული ბრალდება, ბრალდება სახელმწიფო მოღალატეობისა, ეს უმძიმესი დანაშაულობა, რომლის შეთხზვას ყოველისფერი ხელს უწყობდა: დროც, გარემოებაც, ჩვენივე დაუდევრობაც და სხვისი უგვანო პოლიტიკაც, ასჯერ და ათასჯერ გაბათილებულ იქმნა მოწმების მიერ; არა უბრალო მოწმეთა მიერ, არამედ იმათგან, ვინც სახელმწიფო დაწესებულებათა და უწყებათა მოხელის სახელს ატარებენ, როგორც ერთის მხრით ოლქის უფროსი ზასიმოვიჩი გახლავს და მეორე მხრით საბოქაულოს უფროსი ნიკოლენკო. ამათი დაბეჯითებითი რწმუნება, რომ დამნაშავეთა ღალატი შეთხზულია, საკმარისი არ იყო! სამაგიეროდ ლელო გაიტანეს იმ მოწმეთ, რომელთა უმეცრება ჩეთნიკობას თავის თავად მოღალატეობად სთვლიდა.

როდესაც იმავე მთავრობის მოხელეთა ჩვენებამ და „ჩეტნიკობის“ აზრ-შინაარსის გამორკვევამ აშკარ ჰყო, რომ ჩეტნიკობა თავის-თავად არავითარ დანაშაულობას და მოღალატეობას არ ნიშნავდა, როდესაც ისიც გამოირკვა, რომ ბ-ნ ზასიმოვიჩისა და სხვა მოხელეთა წყალობით, რომ იმ მხარის ხალხი სხვა დროსაც იარაღ-ასხმული დაიარებოდა, და რომ ოსმალთა მოახლოვების შიშით მთავრობისგან ხიფათ-მომდგარი ჭოროხის ხეობის დატოვების შემდეგაც იარაღის ტარება მოღალატეობად ვერ ჩაითვლებაო,—დიახ, როდესაც ყოველივე ეს გამოირკვა, მაშინ ბევრი პირ-ღიად დარჩა... ასეთი იყო ოფიციალი პირების ჩვენება, იმ პირებისა, ვისაც იმ მხარეში რუსის მთავრობის ხელმწიფების განმტკიცება და დაცვა მინდობილი აქვს... ასეთი იყო ფაქტიური მასალა.

მოველოდით, რომ ამას შეეძლებოდა ყოველივე ეჭვის გაფანტვა და სრული დამარწმუნებელი ძალა ექნებოდა, მაგრამ მოვსტყუვდით, სასურველი იქნებოდა რომ ამ ფაქტიური მასალის გაშუქება და ახსნა-განმარტება საჯაროდ მომხდარიყო, პრესას და საზოგადოებას საშუალება მისცემოდა თავიდან ბოლომდე ამ პროცესს დასწრებოდა, მაგრამ ვერც ამას ვეღირსეთ, და კამათი დახურულ კარებში მოხდა. ვექილები და ბრალმდებელი მხოლოდ ერთმანეთსა და სასამართლოს კედლებს ელაპარაკებოდნენ. არაფერმა გასჭრა.

ნუგეშად ის და უნდა ვიკმაროთ რომ სასამართლომ, ამ შემთხვევაში მოღალატეობის მძიმე ბრალდება მოხსნა ბრალდებულთ და ნაცვლად 108 მუხლისა, ისინი 109 მუხლის ძალით გაასამართლა. ეს ერთად ერთი დადებითი შედეგია ამ პროცესისა. ყველა მტერ-მოყვარემ, ოფიციალმა და არა-ოფიციალმა პირმა უნდა ყურად იღოს სასამართლოს ეს უაპელაციო აზრი და რეზოლიუცია.

## გუშინდელი ამბავი

თითქმის ერთსა და იმავე დღეს მოხდა ქართულ სამეურნეო ბანკის და კახეთის რკინის გზის გამგეობის არჩევა. უნდა გულახდით ვსთქვათ, რომ ორთავე არჩევანი დამაკმაყოფილებელია ბევრის მხრით. იგი მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველი საზოგადოება ეხლა უფრო საღის მოსაზრებით ხელმძღვანელობს ხოლმე, ვიდრე ეს აქამდე იყო, როდესაც ნათლიმამურის, შენჩემიანობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. ბ-ნი პართენ გოთუა, ბანკის ახალი დირექტორი, ცნობილია როგორც ენერგიული საზოგადო მოღვაწე; ჩვენ თვალწინ გაიარა მისმა ღვაწლმა საკომერციო ბანკის შექმნაში, პოლიტეხნიკუმის ასაგებად საუპირატესო ადგილის დაცვაში, ქალაქის თვითმართველობასთან ბრძოლაში, ქართულ საეკლესიო და აჭარელთა საკითხისათვის თავგამოდებაში და, ამ დიდ საკითხთა გარდა, მრავალ წვრილმანებშიაც.

რასაკვირველია, უნაკლო არავინ არის და ბ-ნ გოთუასაცა აქვს თვისი ნაკლები, მაგრამ სხვებთან ერთად იგიც, იმედია, გაამართლებს საზოგადოების ამგვარ პატივსაცემ ნდობას და სამეურნეო ბანკის საქმეებშიაც ჩვეულებრივ ენერგიას გამოიჩენს. ქართული პრესა და საზოგადოება ვერავის მისცემს „carte blanche“-ს რადგან მისი მოვალეობაა ადევნოს თვალყური ყოველ ეროვნულ საქმეს და იმ პრინციპით შეაფასოს მოღვაწენი, რომელიც ამბობს: „საქმენი შენნი გამოგაჩენენ შენ“. უსურვოთ ახალ დირექტორს ასეთი საქმენი საერთო საერო საქმეთა საკეთილდღეოდ.

მეორე არჩევანი არა ნაკლებ საგულისხმიეროა: ცნობილი ნიკო ნიკოლაძე თავმჯდომარედ, კახეთის რკინისგზის მოამაგე თ-დი დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ბ-ნი ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხ. გამგეებად—ყველა ეს მაჩვენებელია, რომ არჩევანის დროს ხელმძღვანელობდნენ საქმის სიყვარულით და საღი მოსაზრებით, რაიც თავმდებია კახ. რკ. გზის რიგიან კალაპოტში ჩაყენებისა. რაღა თქმა უნდა, აქაც იჩინა თავი შენჩემიანობამ, მაგრამ ისეთი პატარა მაშტაბით, რომ საქმის კეთილად წასამართავად, სრული იმედი გვაქვს, ეს ხელს არ შეუშლის, თუ იგივე პრესა და იგივე ქართველი საზოგადოება დარაჯად ეყოლება ამ დიდს ეროვნულ საქმეს.

სრულის ობიექტივობით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბ-ნ გოგიჩაიშვილის არჩევანი კახ. რკ. გზის გამგეთა შორის შესაფერისად მიგვაჩნია, მიუხედავად იმ აღმაშფოთებელ საქციელისა, რომელიც ჩვენს წინაშე ჩაიდინა. ჩვენ ვუსურვებთ კინის გზაზედ უფრო ულვარძლოდ და მართებულად სიარულს, ვიდრე ქალაქლდისაზედ. იმედია რომ ამას შესძლებს, მიუხედავად იმისა, რომ მისივე განცხადებით მთელი სიცოცხლე მარტო ბანკის დირექტორობისათვის ემზადებოდა.

ამ რიგად დასრულდა არჩევანი ორი დიდი საქმის გამგებისა და ქართველ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეუწყობს ხელს ამ საქმეთა კეთილ პატრონობას და განვითარებას. გზა უნდა დაულოცოთ, მაგრამ თვალყური და გულიც თან გავადევნოთ.

**რაე.**

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**16 ვერსის სიშორეზე.**

როგორც იტყობინებიან, რიგიდან თექვსმეტ ვერსის სიშორეზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს.

**ვარნის სიმაგრე.**

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, უკანასკნელ დროს ბულგარეთის სამხედრო სამინისტრომ მეტად გაამაგრა ვარნაო.

ნაპირებზე ახალი ზარბაზნები დაუდგავს. მრავალი ნახმარი მოეპოვება, რაიც ოსმალეთის ფლოტსაც ეყოფაო.

სიმაგრეში 30.000 მეომარია. ამდენივე რიცხვია ბურგასში.

**გერმანელების მიზანი.**

ინგლისელი კორესპონდენტი იტყობინება: გერმანელების დიპლომატიურის და სამხედრო საქმეების მცოდნე პირმა განაცხადა: პირველ ხანად გერმანელების გალაშქრება სერბეთის წინაალმდეგ მეტად მცირე ლაშქრისაგან შესდგებოდა, მაგრამ ეხლა მრავალ რიცხვოვან ჯარს მოუყარეს თავი. გერმანელებმა ვერ მოახერხეს რუსეთის ჯარი გაესრისნათ და ამან გამოიწვია, რომ სერბეთს მიაშურეს. ნაწილი თავიანთ ჯარისა დასავლეთით გადასხეს, რათა მოკავშირეთა ჯარი შეეყენებინათ. ამავე დროს გეგმა ეიმუშავეს თუ სერბეთსა და ბულგარეთზე როგორ უნდა გაევლოთ რათა აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლში ამოეყოთ თავი. ვიდრე მოკავშირეები დასავლეთიდან იერიშს დაიწყობდნენ, გერმანეთმა უკვე მოასწრო და გზა გადაულობა. გერმანეთი ფიქრობს, რომ ინგლისს დააჩრჩობს, როცა კი ოსმალეთს ხელებს გაუხსნის და თავის მხრივ ოსმალეთი სუეცის სრუტეს თავს დაესხმება. გერმანეთს ჰსურს აღმოსავლეთის ქვეყნები იგდოს ხელთ, სადაც იგი თავის ვაჭრობა-მრეწველობას გასაქანს მისცემს. აღმოსავლეთი ბელგეთის მაგიერობას გასწევს და აღარც იფიქრებს მის შემოერთებაზე, რადგან თვით ეს გერმანელებს არ ჰსურთ.

რაც შეეხება რუმინეთს, გერმანეთმა არ უწყის, თუ რა მოჰხდება, მხოლოდ ცრან, რომ რუმინეთი რუსეთის წინაღმდეგ არ გაილაშქრებსო.

**სად გადასწყდება ომის ბედი.**

გერმანელი მაიორ მორატი ამბობს: ჩვენი მოქმედება აღმოსავლეთის ფრონტზე მხოლოდ მოგერებით განისაზღვრება. დღეს მთელი ყურადღება სერბეთის ფრონტზე არის მიქცეული; მსოფლიო ომის შუა გული დღეს ბალკანეთია. აქ შეიკრიბა ყველა ეროვნების მეომარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა გადამწყვეტი ბრძოლა მოახდინონ და იქნებ ამ ბრძოლით ომიც საბოლოოდ გადასწყდესო.

**უცხადებს თუ არა ომს?**

იტალიის სააგენტო იტყობინება: ვინაიდან ბულგარეთმა სერბეთს ომი გამოუცხადა და მოკავშირეებს ცადუდგაო, ამიტომ მეფემ ბრძანა, იტალეთსა და ბულგარეთს შორის ომის ხანა დადგაო.

**რას აპირობს საბერძნეთი**

პოლიტიკური მდგომარეობა უცვლელია. თითქოს ბალკანეთის კუნძულზე სრული მყუდროება სუფევდეს. სერბეთის გასაჭირი საბერძნეთს აინუნშიაც არ მოსდის. მთავრობა საგარეო პოლიტიკას ყურადღებას არ აქცევს და ხალხიც დამშვიდებულია. ამ დროს გერმანეთის დიპლომატები ენერგიულად მუშაობენ, რათა საბერძნეთი გერმანეთის მხარეზე გადაიბირონ. გერმანელების სასარგებლოდ მომუშავე ბერძენთა გაზეთმა დასტამბა ვრცელი საუბარი გერმანელ დიპლომატისა, სადაც ნათქვამია, ვითომც გერმანეთი საბერძნეთს ჰპირდებოდეს სერბეთისგან წართმეულს მამულებს და თორმეტამდე კუნძულს.

**საბერძნეთი და რუმინეთი.**

მოკავშირეთა სახელმწიფოები დიდად დაინტერესებულნი არიან, თუ რა პოზიციას დაადგება საბერძნეთი. ინგლისის ჯარისთვის საჭიროა გზა ხსნილი ჰქონდეს საბერძნეთზე, რათა პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს სერბეთთან. მოკავშირეთა ჯარი ვერ აიძულებს საბერძნეთს ომში ჩარევას, მაგრამ სამაგიეროდ იმას კი მიახწევენ, რომ ათინის კაბინეტმა სალონიკში მოქმედება მოკავშირეთ ვერ შეუშალოს. საბერძნეთი არც იქით არის არც აქეთ. ამას შეჰყურებს რუმინეთი. რუმინეთს ჰსურს თუ გამოვა საბრძოლველად გამარჯვებული დარჩეს, ამიტომ იგი ომში მაშინ ჩაერევა ეკეთუ დაატყო რომ ერთერთი მხარე აუცილებლად გაიმარჯვებს.

---

მოკავშირეთა ელჩებს განუცხადებიათ საბერძნეთის მთავრობისთვის: საბერძნეთს იმიტომ არტყია ალყა, რომ ბულგარეთში საქონელი არ გადააპარონო. ალყას ავხსნით ეკეთუ საბერძნეთის მთავრობა სალონიკში ჯარის გადმოსხმის გამო განცხადებულ პროტესტს უკან წაიღებსო. დარწმუნებით ამბობენ. რომ საბერძნეთმა პროტესტი კვლავ დაადასტურაო.

**გერმანელების ახალ სისტემის ჰაეროპლანი.**

გერმანელების ჰაეროპლანს ჯანლიან დღეში გზა არევია და შეცდომით რუსების ბანაკში დაშვებულა. შეუპყრიათ და აღმოჩენილა მთლად ახალ სისტემის ჰაეროპლანი, რომელიც ყოველმხრივ გაუმჯობესებული ყოფილა. საჭიროდ სცნობენ რუსის ტეხნიკოსები, რომ რუსეთის ყველა ქარხნებს, სადაც კი ჰაეროპლანებს აკეთებენ, შეპყრობილ ჰაეროპლანის შემადგენლობა გააცნონ და მის გეგმაზე გააკეთონ.

**მოდგმის გამრავლება**

ბერლინში გამოჩენილ პროფესორებს და მეცნიერებს კრება მოუწვევიათ იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ როგორ უნდა გაამრავლონ მომავალი თაობა. კრებას სახელმწიფო მინისტრი და სხვა დიდ თანამდებობიანი პირნი დასწრებიან. პროფესორს ვოლფს და ნაისერს ულაპარაკნიათ, სადაც ის აზრი გაუტარებიათ რომ მდედრობითმა სქესმა შვილები უნდა მოამრავლოს, რისთვისაც სახელმწიფო ხელმოკლეებს უნდა დაეხმაროს. სასტიკად უნდა აიკრძალოს მუცლის მოწყვეტა და ხელოვნური საშუალებით შვილის არ ყოლა. დამნაშავე უნდა ისჯებოდეს. კრებამ დაადგინა, მიჰმართოს საზოგადოებას მოწოდებით, ხალხის შემცირებით გერმანეთს საფრთხე მოელის და ამიტომ უნდა ეცადნენ კვლავ გამრავლდნენ. მოწოდებაში აღნიშნულ იქმნება ყოველგვარი საბუთი, რაიც კი კრებაზე ითქვა, თუ რა მიზანი აქვს ხალხის მომრავლებასაო.

რამდენად სიმართლეს შეეფერება, იმასაც მოგახსენებენ, რომ გერმანელების მეცნიერებს გეგმა წარუდგენიათ, რათა ჯანმთელი და ლამაზი ხალხი დაარჩიონ და მათ მოამრავლებინონ მომავალი თაობაო.

## უკანასკნელი ფოსტა

**ავსტრო-გერმანელები სერბეთში.**

ტუნ-სევერინიდან იუწყებიან, რომ გერმანელთა ბატარეებიდან საშინელი ცეცხლი გაუჩინეს ორშოვზე ტეკის სიმაგრეებს. სერბებმა სიდირმეში დაიწიეს. ავსტრო-გერმანელები შეესივნენ სერბთა ტერიტორიას მთელს დუნაის გასწვრივ, სერბებმა დასცალეს ნავთსადგური კლადოვი. დაცლის წინ მათ ყოველისფერი ცეცხლს მისცეს, ნავთის საწყობი. ტყვიაწამლის სარდაფები, სურსათი, ერთი სიტყვით, ყოველისფერი. მთელი ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. 600 ოჯახი და ვლადოვის მმართველნი რუმინეთის საზღვრებზე შეიჭრნენ, ნაწილმა საბერძნეთს მიაშურა. ფოსტისა და ტელეგრაფის წარმოება საბერძნეთისა და რუმინეთისშუა ახლა ბულგარეთის საშუალებით ხდება.

---

გერმანელებმა რიგისა და დვინსკის რაიონებში მოქმედება ერთი-ასად გააცხოველეს. ყველაფრიდან სჩანს რომ გერმანეთის ჯარს სურს მაინც და მაინც მდ. დუნაის ხაზი დაიჭიროს.

---

რუსის სამხედრო წრეები ჯერ-ჯერობით ვერ ბედვენ რაიმე გარკვეული აზრი გამოსთქვან თუ რა შედეგს მიიღებს მდ. დვინაზე ბრძოლა, თუმცაო, დვინსკთან მდგომარეობა მეტისმეტი სერიოზული არისო.

---

მაზეპისცი გრუშევსკი პროფესორ კულაკოვსკის ეკამათება გაზეთ „ჩემაში“ და მოითხოვს რომ უკრაინას მიენიჭოს დამოუკიდებელი არსებობაო.

ბერლინში აკრძალეს მოწოდებების გავრცელება ოსმალოთაგან სომეხთა ჟლეტის შესახებ.

---

დედეაგაჩში ოსმალთა ჯარები ჩამოვიდნენ.

---

ბულგარეთმა ნოტა გაუგზავნა საბერძნეთს; მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქმნას სალონიკში მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმა და გააძევონ უკვე გადმოსხმული ჯარები.

---

ვილჰელმმა ბულგარეთის მეფეს ფერდინანდს უბოძა რკინის ჯვარი პირველი და მეორე ხარისხისა.

---

ავსტრიელები დიდძალ ჯარს გზავნიან ბუკოვინაში.

---

ბულგარები მიიმართებიან უსკუბისა და სალონიკისაკენ.

## შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი, 10 ოქტომბერი.** ხოფის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტორტუმის ტბის მახლობლად და ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე, სოფ. ვასტანთან, მოწინავე რაზმთა შეტაკებაა.

**პეტროგრადი, 12 ოქტომბერი.** ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რიგის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ბაბიტის ტბის სამხრეთით გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. ოლაის რაიონში საარტილერიო სროლაა. დვინის მარცხენა ნაპირზე, სადგურ იქსკიოლის რკინის გზის გადასაჭრელად გერმანელებმა მკაცრი იერიშით დაიწყეს შემოტევა. ბრძოლამ უმძაფრეს წერტილს აღწია. ხუთჯერ მოგერებულ იქმნა გერმანელთა გააფთრებული იერიში. მეექვსე იერიშის დროს გერმანელები შეესივნენ რუსთა ერთ-ერთს სიმაგრეს მაგრამ რუსებმა მეტი წილი ხიშტებით ამოჰხოცეს, დანარჩენნი ტყვედ წამოიყვანეს. აგრეთვე მოგერებულ იქმნა გერმანელთა მეექვსე იერიშიც. ფრიდრიხშტადტის ფრონტზე პატარ-პატარა შეჯახებაა. დვინის მარცხენა ნაპირზე, იაკობშტადტის ჩრდილოდასავლეთით და ლივენჰოფის დასავლეთ ტყიან რაიონში მოწინავე რაზმთა შეჯახებაა. დვინსკთან ილლუკსტის რაიონში გერმანელთა მკაცრი იერიშები არა სწყდება. ილლუკსტის აღების შემდეგ გერმანელებს ჰსურდათ ლაშქრობა განევითარებინათ, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ ტყის ნაპირას, ილუქსტის აღმოსავლეთით. ასევე შეჩერებულ იქმნენ სოფ. პოშილინთან, ილლუქსტის სამხრეთით. ნ. ალექსანდროვის შარაგზაზე, მედუმისა და მედუმსის ტბის სამხრეთით, საარტილერიო სროლაა. აგრეთვე დემენის ტბისა და დრისვიატის ფრონტზე საარტილერიო სროლა მკიცრ ხასიათს იღებს. დრისვიატის ტბისა-ბომინმიაძიოლ-ნაროჩ-ვიშლევსკის ხაზზე ბევრს ადგილას შეტაკება მოხდა, თუმცა არც ერთს მხარეს მნიშვნელოვან შედეგისთვის არ მიუღწევია. აღსანიშნავია ზოგიერთი ბრძოლა, მაგალითად, 1) სოფ. ჯემიდესთან, მოგონისტრის დასავლეთით 2) სოფ. პეტრუშის აღება რუსთა მიერ, კოზინის დასჭვლეთით. სმორგონის რაიონში გერმანელთა პატარ-პატარა რაზმები სულ ადვილად იქმნენ გაფანტულნი რუსების მიერ. კრევნოს სამხრეთით ტყის რაიონში და ლიუბიჩის რაიონის ხაზზე, ზემო ნემანზე კროშანამდე, სრული სიწყნარეა. რუსთა არტილერია მარჯვედ ესვროდა გერმანელთა სხვეტსხვეტად წამოსულ რაზმებს სოფ. რუსინთან. ოგინის არხთან ბრძოლა გაჩაღდა სოფ. ბულკის მახლობლად, ვიგონოვსკის ტბის სამხრეთით. გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს დაკარგულ ადგილების დაბრუნება მაგრამ ამაოდ სტირის მარცხენა ნაპირებზე, ნობელის ტბის სამხრეთით, პატარ-პატარა შეჯახება მოხდა. კოზას ჭაობების მახლობლად გერმანელებმა რუსებს დაახევინეს. სტირის მარცხენა ნაპირზე, რაფოველოვსკის ჩრდილოეთით, ავსტრიელები სცდილობდნენ იერიშით გამოლაშქრებას, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ სოფ. კოლკისა და კამაროვსკის მახლობლად, ჩარტორისკის დასავლეთით, მათ გააფთრებული იერიშები მიიტანეს. ერთგან გაიმარჯვეს კიდეც, მაგრამ რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და ძველი მდგომარეობა აღდგენილ იქმნა. კონტრიერიშის დროს რუსებმა ათასი ტყვე წამოიყვანეს. შემდეგ, მდ. იკვის სამხრეთით, ამ ბოლო დროს ბრძოლა არ მომხდარა. ცნობებია, რომ აქ მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. გალიციაში პატარ-პატარა შეტაკებაა სტრიპზე. დნესტრის მარცხენა ნაპირზე ხანდახან საარტილერიო სროლაა. ჩერნოვიცის აღმოსავლეთით სიწყნარეა.

## შემოსევა საქართველოში არაბებისა მე-8 საუკუნეში (698—739 წ.)

(გაგრძელება. იხ. საქართ.“ № 115)

ასე სამწუხაროდ გათავდა სომხეთ-ალბანიისთვის ეს უბედური გამოლაშქრება კეისრის ჯარისა წინააღმდეგ მაჰმადიანობისა 701—705 წლ.

ახლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ დღეს გინდა ხვალ განძვინებული აჰმადი შურს იძიებდა საქართველოს მეფის სტეფანოზზე, და მთელ მის სამეფოს აამტუტებდა. ეს კარგად ესმოდა სტეფანოზს, მაგრამ გულს არ იტეხდა ბერძნის ლაშქრის იმედით.

მაგრამ გაცრუვდა ეს იმედიც! როგორც კი ბერძნების მხედართმთავარი „ავგისტოსი ერეკლე“ თფილის-გორში მოვიდა, მაშინვე გამოაცხადა, რომ საბერძნეთის ლაშქრობა სამუდამოდ და უომრად სტოვებს საქართველოს... ვერაფერმა მუდარამ ქართველობისამ ვერ შეაცვლევინა ერეკლეს ეს მტკიცე გადაწყვეტილება. ხოლო როდესაც ამ „მეფე ერეკლეს“ ცნობა მოუვიდა, რომ მისი მკვიდრი ძმა, იმპერატორი ტიბერი, ტახტიდამ ჩამოაგდესო (ეს მოხდა იმავე 705 წ.) და მისი მტერი იუსტინე გამეფდაო, მაშინვე აიყარა ჯარით და მსწრაფლად გასწია ცოთში და იქიდან მთელი საბერძნეთის ჯარი წაასხა კონსტანტინოპოლში. რის წაღებაც შეიძლებოდა ყოველიფერი თან წაიღო საქართველოდან და სხვა ფასეულობა მიწაში დაავლევინა ქალაქ გორში. „რომელი (ე. ი. ქალაქი გორი) მანვე ერეკლე განაჩინა განძთა სამალავად, რომელნი თანა ვერ წაჰქონდეს. ხოლო სახელი გორისა მის არს ტინთიო[1]) და თარგმანებით მისა ოქროსი, და დასვა მას ზედა ტილისმი[2]) რათა ვერ ვინ უძლოს გამოღებად“ (ქ-ცხ. I, 172).

ამნაირად ბერძნის ჯარი საქართველოდან გაიკრიფა. ამ გარემოებამ ერთის მხრით დიდი ზიზღი აღძრა ქართველებში წინააღმდეგ ბერძნებისა და ეს იყო მიზეზი იმისი, რომ იმერლებმა, აფხაზებმა და ოსებმა აქა-იქ ბევრი უსიამოვნება მიაყენეს გზაში ბერძნებს, როგორც „მოღალატეებს“, სანამ ფოთს მიაღწევდა მათი დაბრუნებული ლაშქრობა: პატარ-პატარა გუნდებით ეცემოდენ, სცარცვავდნენ და ათასნაირს უსიამოვნებას აყენებდენ[3])

ქართველ-ბერძენ-სომხების დამარცხებამ და მერმე ბერძნების ლაშქრობის საქართველოდან სამუდამოდ წასვლამ შიშის ზარი დასცა მთელს ქართველობას და დიდს საგონებელში ჩააგდო ჩვენი მეფე სტეფანოზი. ერთიღა იმედი დარჩენოდა სტეფანოზს—ხაზარებისა, მაგრამ ამათაც გზა შეეკრათ შემდეგ ალბანეთის დამხობისა, რომელთაც ეჭირათ დერბენტის გზა, ახლა არაბების ხელში გადასული.

ცხადზე უცხადესი იყო, რომ აჰმადი საქართველოსკენ მალე დაიძვროდა და სასტიკად დასჯიდა ჩვენს ქვეყანას ბერძნების მოყვანისა და სომხების აჯანყებისათვის, არაბთა ლაშქრობის ამოწყვეტისთვის.

ამ განსაცდელის დროს საქართველოს მაშინდელი მეფე სტეფანოზ მეორე თავდარიგს შეუდგა მარტო თავის-თავზე მინდობილი. როგორც შემდეგის ისტორიის მსვლელობისაგან სჩანს, მეფის თავში დამწიფებულა შემდეგი გეგმა აჰმადის აუარებელ ლაშქრობასთან ბრძოლისა: მეფის ლაშქრობა დაუხვდეს საქართველოს საზღვარზე აჰმადისას, დიდს ომს მოერიდება, ისე პირს იბრუნებს და მთებში შეიხიზნება, ბერძნების საგანძურების მიწაში დაფვლისა (ეს შემოსევა იყო 726—739 წ.), მაშინ აირევა ყველა ანგარიშები: იმ დროს ბერძნები ჩვენში არ ყოფილან და ვერც მოგვეშველებოდა იმათი ჯარი, რადგან ამ დროს (718—726 წ.) თვით კონსტანტინეპოლი შეკრული იყო არაბების ლაშქრობით მუსლემის მეთაურობით.

ამ ნაირად ძნელი დასანახი არ უნდა იყოს ის, რომ ქ-ცხბის ამ მოთხრობათა დამწერს აურევია ერთ შემოკლებულ მოთხრობად ორივე შემოსევა არაბებისა: აჰმათისა 701—717 და მურვანის 724—739, რადგან ორივე შემოსევა ერთმანეთს ზედიზედ მოსდევდა ხანგამოუშვებლივ, და ყრუს შემოსევას მეტი შთაბეჭდილება დაუტოვებია მაშინდელ საზოგადოებაში, ვიდრე აჰმათისას. ამიტომაც აჰმათის სახელიც კი არ იხსენება, თუმცა ბერძნებისაგან საგანძურების მიწაში დამარხვა იმის შემოსევის დროს მომხდარა, როგორც ბერძნის ლაშქრობის საქართველოში და სომხეთში შემოსვლაცა.

ერთის სიტყვით აჰმათის და ყრუს შემოსევის ამბები ქ-ცხბაში შერეულია და მარტო ყრუს მიეწერება; ხოლო ჩვენ სომეხ მატიანეების მიხედვით და წმ-ს ბასილის წერილის ძალით გვანაწილეთ ქ-ცხბის ცნობები და დარწმუნებულნიც ვართ, რომ არ ვცდებით: დაწერილებითი კრიტიკა უმეტესად გაამართლებს ჩვენს აზრსა.

---

[1]) ტილიზმი=საიდუმლო ჭარაკი მოძრავი (საბა); თილისმი—შელოცვა წარმართ მღვდლებისა (საბა). ტინთიო არ ნიშნავს ოქროს გორას ბერძნულად. ოქროს გორა ბერძნულად იქნება „ეკტოლ“ (Менандро Визат. изд. Дестуниса, გვ. 376).

[2]) ამ ქ. ცხოვრების ცნობას ადასტურებენ შატბერდის და ჭელიშის ქრონიკები, რომელნიც მეტად მოკლედ აღნიშნავენ: „ბაღდადი აგარეანთა დაიპყრეს, და ამისთვის ბერძენთა ქვეყანა ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძნეთად“ (იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, 69 და შენიშ. № 136). ეს ფრაზა: „ჯორსა აჰკიდეს“ ბ. თაყაიშვილს უაზროდ მიაჩნია, მაგრამ სცდება: ბერძნებმა ჯორს აჰკიდეს და წაიღეს ქვეყანა კი არა, არამედ ქვეყნის აღწერილობა, რუქები, გეოგრაფიული და მიწათმზომლობითი საბუთები მთელის ჩვენის ქვეყნისა. ამისთანა საბუთები იმ დროს იწერებოდა უმეტეს შემთხვევაში სპილენძის და სხვა ლითონის ფიცრებზე, ან მაგარ ფიცრებზე და სიმძიმეს წარმოადგენდენ. იმიტომ წაიღეს საბერძნეთში, რომ იმედი ჰქონდათ თუ როდისმე საქართველოში დაბრუნებას მოახერხებდენ ამ რუქებით აღადგინათ ბერძნების სამეფო მიწები და კერძო პირების დიდდიდის მამულების საზღვრები. ცხადია, ამისთანა რუქები იმ დროის დიდს საფასესაც წარმოადგენდენ.

ამასთან უნდა შევნიშნო, რომ დიდი მეცნიერი ბროსე (და მისი მიმდევარი ჩვენი მეცნიერები) ამ ჩვენის მატიანის ცნობაში (ქ-ცხ. I, 170—171; 175) დიდს ანაქრონიზმს ხედავს, რადგან ამ დროს ბაღდადი სულ არ იყოო: ცნობილია, რომ ბაღდადი აშენდა 762 წ., ე. ი. 40—60 წლის შემდეგ მოთხრობილის ამბებისაო. მაგრამ აქ მეცნიერი სცდება: ბაღდადი მართლა აღშენდა 762 წელს, მაგრამ ეს ქალაქი უწინაც ცნობილი იყო და განთქმულიც. არაბებმა გაავრცელეს ეს ქალაქი, გაამაგრეს ახალ ციხეებით, გაალამაზეს. ამ ქალაქს იცნობს მოსე ხორენელი; ხოლო მისი გამომცემელი ბ. პატკანოვი გვარწმუნებს, რომ ბაღდადი არსებობდაო უძველეს დროიდან (Армянская географія VII в. გვ. XIV—XV). ამას უფრო აბეჯითებს შატბერდის ქრონიკა, შედგენილი 716—717 წლებში, როგორც ეს ჩვენ უკვე დავამტკიცეთ („ქრონიკები“ I, გვ. 118 და 104) და მისი პირი—ჭელიშის ქრონიკა, აღმოჩენილი არქ. ამბროსისაგან. ცხადია, რომ რაკი 716 წელს დაწერილი ქრონიკა ბაღდადის აღებას იხსენიებს, ეს ციხე-ქალაქი ამაზე ადრე აშენებული ყოფილა და მაშასადამე ქ-ცხოვრებაში აქ ტყუილად ეძებენ ანახრონიზმს ჩვენი მკვლევრები, რომელნიც, როგორც ეტყობა, მიზეზით, ადგილობრივ წყაროებს გადამეტებულის ეჭვის თვალით უცქერიან და ბოლოს მუდამ თვითონვე სანაქებო შეცდომებით თავისი ნასიბრძნი. სჯობია ახლა მაინც იგრძნონ მკვლევარებმა, რომ **ადგილობრივს ქართულ წყაროებს მეტის ნდობით მოკიდება უნდა, ვიდრე სხვა ხალხის მემატიანეებს ადგილობრივის ისტორიის კვლევა-ძიებაში.** წინააღმდეგ: უცხოელების მატიანეები სასტიკს კრიტიკას უნდა გავატაროთ, რომ იმათ ნაწერებიდან ცოტა მაინც სიმართლე გამოვწუროთ ადგილობრივ წყაროების შესავსებად. თუ ამ გზას მაინც და მაინც არ დაადგებიან ჩვენი მკვლევრები, შეიძლება ჩვენს ისტორიას სინათლის მაგიერ ნისლბურუსი მოეხვიოს.

[3]) ეს ამბები, როგორც ვთქვით, მოხდა 705 წ., როდესაც კეისარი ტიბერი ჩამოაგდეს და ტახტზე მეორედ ავიდა იუსტინიანე († 711 წ.). წმ. არჩილ მეფე ჰმოწმობს, რომ როდესაც ბერძნის სარდალმა ერეკლემ საგანძური გორში დაფლა, მაშინ ჯერ სულ **ყრმა ვიყავიო** და იმიტომ არ ვიცი სად დაფლესო (იხ. მისი ცხოვრება).

ეს ცნობა დიდ გამოსაყენებელია გამოსარკვევად ქ-ცხოვრების მოთხრობათა. ეს სიტყვები წამებას წინ უთხრა მწამებელს არაბთ სარდალს 751 წლის ახ. კეისრის ერეკლეს დროს († 641 წ.) რომ არჩილ 10—12 წლის ყრმა ყოფილიყო, მაშინ 751 წელს ის იქნებოდა სულ ცოტა 120 წლისა! ხოლო ჩვენგან აღწერილ ქრონოლოგიით მართლდება მეფის მოწმობა, რადგან თუ 705 წელს, როდესაც ბერძნის მხედართმთავარი „ავგუსტოსი ერეკლე“ განძს მიწაში აფვლებინებდა გორში, არჩილი ყოფილა ათის წლის ყრმა, წამების წელს ის იქნებოდა არა 120 წლის გადაყრუებული მოხუცი, არამედ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე ვაჟ-კაცი 50 წლისა. და მართლაც არაბთ მხედართმთავარს იმიტომაც უნდოდა მეფის გადაბირება მაჰმადის სჯულში, რომ არჩილი მოეწონა მას ვაჟკაცურის სანახაობით და ჰაეროვნებით.—ახლა ავიღოთ მეორე მხარეც. თუ რომ ქ-ცხბას დავუჯერეთ და მურვან-ყრუს შემოსევა ავიღეთ მიზეზად

# ახალი ამბავი

**მუშა ქალთა კლუბი.** კავკასიელ ქალთა საზოგადოებას მუშა ქალთათვის ჰქონდა გახსნილი კლუბი, რომელიც 5 წლის განმავლობაში მუშაობდა. ომის დაწყებამდინ ამ კლუბმა შესწყვიტა მოქმედება. ამ ჟამად საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა განაახლოს იგი კლუბი და დროს შესაფერისად ახალს კალაპოტში ჩააყენოს მისი მოქმედება. ამისათვის მომავალ ორშაბათს გამგეობა აპირობს საგანგებო კომისიის არჩევას, რომელსაც დაევალება ხსენებულ საქმის მოწესრიგება. ეს კლუბი არსებითად განსხვავდება დანარჩენ ჩვენებურ კლუბებისაგან: დედა აზრი ამ კლუბის არსებობისა მდგომარეობს იმაში, რომ თავისი წევრების ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას და ქონებრივად გაუმჯობესებას ხელი შეუწყოს. ამისათვის იმას განზრახული აქვს გამართოს განმავითარებელი კურსები, სამკითხველოები, სკოლები, მუშაობის საშოვნელი ბიურო, შემნახველ-გამსესხებელი კასები, თავშესაფარი, სახაიები და სხ. თითო კლუბში წევრთათვის შემდეგი გასართობი იქნება: მუსიკა, სიმღერა, ცეკვა (კვირაში ორთხელ), ადვილად გასაგები ლექცია, დეკლამაციები, ჟურნალ-გაზეთების კითხვა და სხ. ხარჯების დასაფარავად თითო წევრი იხდის წელიწადში 2 მანეთს, რომელიც ნაწილ-ნაწილ შეაქვს და გარდა ამისა ქალაქის გამგეობამ მისცა საზოგადოებას 200 მან.

**ქართულ კულტურის მოყვარულთა** საზოგადოების მორიგი კრება დანიშნულია ხუთშაბათისთვის, ღვინობისთვის 15-ს, თავ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში, საღამოს 7 ნახ. საათზე.

**ბ-ნი ალ. ახმეტელაშვილი** წაიკითხავს მოხსენებას ქართულ თეატრის აწმყო მდგომარეობისა და მისი მომავლის შესახებ.

**ქალაქის საბჭომ** ქალაქის ლომბარდის გამგეს 3.000 მან. დაუნიშნა წლიურ ჯამაგირად, ნაცვლად 1.800 მანეთისა, რომელიც აქამდისინ ეძლეოდა. ლომბარდის გამგეს შემდეგ კრებაზე აირჩევს საბჭო.

**ნამალევი კვერცხები.** 12 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის აგენტმა ე. გ. ლომიძემ 9,300 კვერცხით სავსე 6 ყუთი აღმოაჩინა, რომლებიც არსებულ ნიხრის კვალობაზე იქმნა გაყიდული ბაზარში.

# გაზ. „საქართველოს“ რედაქცია

**აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 20 ღვინობისთვიდან გაზეთი „საქართველო“ გამოვა გადიდებულ ფორმატით და უკეთეს ქაღალდზე.**

მოწვეულნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები.

გაზეთს ჰყავს მუდმივი კორესპონდენტები საქართველოს გარედ: **პარიზში** (საფრანგეთი), **ლონდონში** (ინგლისი), **პეტროგრადში, მოსკოვში და კიევში.**

ადგილობრივად: **ბათომში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ართვინში, ყარსში და საქართველოს ყველა დიდ სოფლებში.**

განსაკუთრებული კორესპონდენტები **აჭარა-შავშეთ-იმერხევიდან და კავკასიის ბრძოლის ველიდან.**

**მშობელთა წრე.** 11 ოქტომბერს შესდგა ბ-ნ ლევანდოვსკის გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების წრის კრება, რომელმაც წრის საბჭოს წევრებად აირჩია: გ. გ. კაფიევი, ექ. მ. ა. გედევანი, ბ-ნი ხუნუნცი, სოლომონოვი, სტავროსკი, ანდრეევი, ყარაბურზა, მუსხელიშვილი და ქ-ნი ლებედევისა. კრებამ დაადგინა, რომ თითო მოსწავლემ წლიურად 75 კაპ. გადაიხადოს გიმნაზიის ბიბლიოთეკის გასაუმჯობესებლად. შემდეგ კრებას მსჯელობა ჰქონდა მოსწავლეთა ტანთსაცმელის ფორმის შესახებ და იმ გადაწყვეტილებას დაადგა, რომ ფორმის მხრივ მოსწავლენი თავისუფალი იყვნენ, ვისაც რა ფორმის ტანისამოსი უნდა, ისეთი ჩაიცვას, მაგრამ სასურველად სცნო, ეგრედ წოდებული, „მატროსკა“.

**როგორც სარწმუნო** წყაროებიდან გავიგეთ, 1915 წლის 1 სექტემბრიდან კავკასიის ყველა ტეხნიკური, სამრეწველო და სხვა საპროფესიო სასწავლებელში მოსწავლეთათვის დანიშნულია სულ 250 რომანოვების გვარეულობის სტიპენდია. სტიპენდიები მიეცემათ მხოლოდ იმათ შვილებს ვინც ომში არიან წასულნი და უპატრონოდ დარჩენილ ობლებს. სტიპენდიის მსურველებმა უნდა მიმართონ ადგილობრივ გუბერნიებისა და ოლქის უფროსებს. თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ მეტრიკული მოწმობები დაბადების შესახებ, მოწმობა ქონებისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვ.

**კოოპერატივი პროვინციაში.** 18 ოქტომბერს დაბა ახალსენაკში უნდა შესდგეს მომხმარებელ ამხანაგობის — „შრომის კავშირის“ — წევრთა საგანგებო კრება, რომელმაც ამხანაგობის გამგეობა და სარევიზიო კომისია უნდა განაახლოს.

**სურსათის ხელოვნურად გაძვირება.** ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ა. ჯაბარმა, რომელიც, როგორც ვიცით, დონის როსტოვში არის წასული ფქვილისა და შაქრის შესაძენად, ქალაქის მოურავს დეპეშა გამოუგზავნა, რომლითაც იტყობინება, რომ რკინის გზების სადგურებ გროზნასა, დერბენტსა, აჯიკაბულსა, ევლახსა და ალსტაფაში 1.022 ვაგონია გაჩერებული, სხვა და სხვა სურსათით დატვირთულიო. ეს ვაგონები, რომელთა უმეტესი ნაწილი თბილისისათვის არის დანიშნული, 10 სექტემბერს აქეთ არის გზაში გაჩერებული. ქალაქის საბჭოს რომ ეს ცნობა მოხსენდა, ბევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ვისიმე ხელი რომ არ მუშაობდეს აქ, ამდენ ხანს ვაგონები არ დაიგვიანებდა გზაშიო; ცხადია, ვინმე დაინტერესებულია, რომ საქონელი გამოილიოს და საქონლის ფასმა აიწიოსო და სწორედ ვაგონებსაც მაშინ გამოუშვებენ, რათა ერთი ათად გაიყიდოს საქონელიო. ხმოსანმა კეილმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, რომ, თუ ეს მართლა ასე არის, გზაში გაჩერებულ საქონლის პატრონთა ვინაობა გაიგეთ და მეფის ნაცვალს, დიდ მთავარს, მოახსენეთ საქმის ასეთი ვითარებაო. ქალაქის მოურავი შეჰპირდა საბჭოს, რომ ყოველგვარ ცნობებს შევკრებ, რაც-კი შესაძლებელი იქნება, და ახლომომავალში საგანგებო კრებაზე ყველაფერს მოგახსენებთო.

**დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.** თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარის კაცნი: ლონტი არტემ ოტიას ძე, კუჭუხიძე ანტონ გიგოსძე, ნებიერიძე გიგო სიმონის-ძე, ლომიძე ალექსი გიორგის-ძე, ჩიგოგიძე გაბრიელ პავლეს ძე, ოქროპირიძე ბ. ისაკ., ართმელაძე კანდლიკე მაქსიმეს ძე, ახულაძე ერმილე ქრისტეფორეს ძე (ექიმი)

**გაზ. „კავკაზ. სლოვოს“-ს** პატრონები უკვე მოურიგდნენ ასოთ-ამწყობთ და, რამდენიმე ხნის შეჩერების შემდეგ, დღეიდან ხელახლა გამოდის.

**ხოლერა.** 12 და 13 ოქტომბერს ხოლერიანი არავინ მოუყვანიათ ქალაქის ლაზარეთში. ხოლერის ნიშნებით 1 კაცი მოიყვანეს. გარდაიცვალა ხოლერიანი 1 და გამოეწერა ლაზარეთიდან 4 კაცი. გუშინ, 13 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 79 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი.

**გადამდები სენი.** გუშინ, 13 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: სახადიანი 58, ქუნთრუშიანი 87, ხუნაგიანი 17, საოფლიანი, 38, მუცელაიანი 5 და ყვავილიანი 2 კაცი.

**ფქვილის შეძენა.** საგურამოს რაიონის წვრილ საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ნესტორ ძიძიგურმა წერილობით სთხოვა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას, რომ თქვენი კონტრაგენტის საშუალებით გამოუწერეთ ჩვენს რაიონს 4 ვაგონი ფქვილიო. ამ ფქვილს საგურამოელნი ურმებით წაიღებენ თბილისიდან.

**სურსათი.** 12 ოქტომბერს თბილისში მოტანილი იყო: ფქვილი 26 ვაგ., ხორბალი 1 ვ., ქვავი 1 ვ., ქერი 8 ვაგ., შაქარი 5 ვაგ., ფხვნილი შაქარი 4 ვაგ., კარტოფილი 3 ვაგ., ხილი 1 ვაგ., შეშა 4 ვაგონი.

## იმედი

კახეთის რკინის გზას ღირსა პატრონობა. კვირას დეპუტატთა საკრებულომ აურჩია გზას ფაქტიური გამგეობა, რომლის ხელში გადადის კახეთის რკინის გზის მომავალი სვე-ბედი.

ჩვენ კმაყოფილნი ვართ არჩეულ გამგეობის შემადგენლობით და მით უფრო, რომ მის სათავეში ისეთი გამოცდილი პიროვნება ჩაუდგა, როგორიც ბ. ნიკო ნიკოლაძეა. კახეთის რკინის გზას ბევრი ნაკლი აქვს და იგი დიდად საჭიროებს გამოსწორებას, როგორც წმიდა უფლებრივის მხრივ, ისე საამშენებლო გეგმის რიგიან დაბოლოვების მხრივაც.

კახეთის რკინის გზის ბედს აქამდის ბანკები განაგებდენ. საჭიროა მათგან თავის დახწევა დამოუკიდებლობის მოპოება. აწ დროა სრული უფლებრივი ბატონ-პატრონი გავხდეთ.

საამშენებლო მხარეც გზისა ძალიან მოიკოჭლებს. ჩალაუბანის უღელტეხილის „სცილა და ხარიბდა“, ტრუშულის სადგურები, დამპალი შპალები და სხვა მრავალი, თვალსაჩინო ნაკლი გზისა დაუყონებლივ შესწორებას მოითხოვს, თორემ მართლაც ბევრი ირჩევს ძველის მამაპაპურის შარაგზით სიარულსა და საქონლის გადატან-გადმოტანას.

ნ. ნიკოლაძის მოწვევა ამ ძნელ საქმის გასაძღოლად, გულში იმედს გვიღვიძებს; მისი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია წესიერ კალაპოტში ჩააყენებს საქართველოში პირველ ქართულ რკინის გზის საქმესა.

დარწმუნებულნი ვართ რომ ეს იმედი არ გაგვიცრუვდება.

—ი.

# პროვინციის ქრონიკა

### ქ უ თ ა ი ს ი.

— ზოგმა ვაჭრებმა ქუთაისში ხურდა ფულის ნაცვლად საიუბილეო მარკები შემოიღეს. ადგილობრივი მცხოვრებლები მარკებს ვერ ეთვისებიან და ბევრი ხურდა ფულის მაგივრად არ ღებულობს, განსაკუთრებით სოფლელი გლეხები. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ სად გაჰქრა ხურდა ფული!.. მთავრობას იგი არ ჩამოუკრებია და მაშასადამე ისევ ჩვენშივე ინახება. უნდა ვიფიქროთ რომ ვაჭრებმა ნაშალი ფული დააგროვეს და გადაინახეს, როგორც შაქარსა და პურის ფქვილს მალავდნენ. აუცილებლად მათ წინააღმდეგ ზომები უნდა იქნეს მიღებული.

— ქუთაისში ამ ჟამად ბევრი ქუჩის მაწანწალა სხვა და სხვა სასწავლებლების ფორმას ატარებს, ხშირად ქუჩებში ურცხვად ჩხუბობენ, ყოველივე სიბოროტეს სჩადიან და ამით სასწავლებლების სახელს შეურაცყოფენ. დღე არ გავა ისე რომ მხეცობა არ ჩაიდინონ. ეს რომ მოისპოს საჭიროა სასწავლებლების გამგეობისა და პოლიციის თვალყური, რომ ეს ვაჟბატონები აიძულონ სხვისი ქურქი გაიძრონ.

— ქუთაისის ყველა გაზეთების რეპარტიორებმა დაადგინეს დღეიდან შეერთებული ენერგიით იმუშაონ, რომ ამით ყველა გაზეთებს ხელი შეუწყონ. დღემდის კი ერთმანეთს ყოველივე ცნობებს ემალავდნენ და ერთმანეთში ყოველივე კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ.

— ხოლერის ნიშნები ქუთაისში უკვე გაჩნდა. გარდაიცვალა ერთი ბავშვი. ავად გახდა აგრეთვე ერთი ქალი.

— საგუბერნიო საერობო აგრონომთა სამართველომ დაადგინა თანახმად მეფის მოადგილის კანცელარიის მოთხოვნილებისა გაგზავნოს თბილისის ჯარის კაცებისათვის ხორცის დასამზადებლად ინსტრუქტორი ბ-ნი ციმაკურიძე და აგრონომთა სტაროსტა ცხადაძე.

— კვირას, 11 ოქტომბერს, ქუთ. აკურთხეს ახლად გახსნილი რვაკლასიანი საკომერციო სასწავლებელი. სიტყვა წარმოსთქვა დირექტორმა კიტილევსკიმ, ღვდელმა ს. ლეკვეიშვილმა და სხვამ.

— დასავლეთ საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობის კომიტეტს ფრიდონოვის ფირმამ აცნობა: რომ იგი თავს იდებს იმერეთის საჭიროებისთვის შაბიამანის შემოტანას იმ ფასებში, რაფასსაც დააწესებს მიწად-მომწყობ-მოქმედების დეპარტამენტი,

— ქალაქის გამგეობის წევრად სხვათაშორის ასახელებენ ბ. დ. მდივანს.

— ვაგონების კომისიამ ქუთაისში სანოვაგის და სხვა საჭირო საგნების მოსაზიდად 75 ვაგონი დანიშნა.

— დაჰკეტეს „ზინგერის“-ს ფირმის საკერავ მანქანების ორი განყოფილება.

— საადგილ-მამულო ბანკის დამფასებელ კომისიის წევრთა არჩევანის მოწვევას ღვინობისთვის 15—20 აპირებენ.

### შ ო რ ა პ ა ნ ი.

წელს შორაპნის მაზრაში ღვინის მოსავალი ძლიერ ნაკლები ყოფილა. საპალნე ღვინო ამ ჟამად 74—80 მანეთი ფასობს.

### სოფ. ტაბიუნიგი.

დაარსდა ეგნატე ნინოშვილის სახელობის სამკითხველო, სამკითხველოს ბინა უფასოდ დაუთმო ადგილობრივმა გლეხმა წითელაშვილმა.

### ო ზ უ რ გ ე თ ი.

ღვინობისთვის ბოლო რიცხვებისთვის აქ დანიშნულია კოოპერატორების თათბირი. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა და სხვა დაბა-სოფლების კოოპერატივების წარმომადგენლები. ყრილობას მიზნად აქვს გამოარკვიოს მოუსავლობის სიგრძე-სიგანე და შესაფერი ზომები მიიღოს მის წინააღმდეგ.

### გორის მაზრაში.

თბ. გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა „ზინგერი“-ს ფირმის საკერავ მანქანების განყოფილებები.

### ხ ა შ უ რ ი.

აქაურ ვაჭრების თავგასულობას არავითარი საზღვარი არ აქვს. სოფლებიდან შემოტანილ სანოვაგეს თითქმის მუქთად იძენენ, დროებით მალვენ მერე ერთი-ათად ჰყიდიან სხვა და სხვა ადგილებში.

### სოფელი ძიმირი.

ქუნთრუშა მძინვარებს, რომელიც თან და თან ვრცელდება. ჯერჯერობით 30 კაცი იმსხვერპლა. სოფელს მშველელი არსაიდან უჩანს.

---

ნებს უკან და თან გაიდევნიებს არაბებს პირველ მაგარ ციხემდი (მაგ. რუსთავი, ხუნანი, თბილისი), სადაც მწარე ომს გადიხდის, მაგრამ ციხიდან არ გამოდის, დიდხანს ებრძვის, სანამ იძულებული შეიქნება უახლოეს ციხეში გადაიყვანოს ქართველი ლაშქრობა (მაგ. არმაზი, ციხე-დიდი, გორი, სარკინეთი) აქედან კიდე შემდეგ კარგახნის ბრძოლისა არაბთ ლაშქრობას შეიტყუებს უფრო მაგარს ციხეში (აწყვერის, ოცხის ® სხ.) სანამ მტერს არ შეიტყუებდა სამცხე-კლარჯეთის მთაზრიოკებში და იქაურ მიუდგომელ ციხეებში. მეფეს იმედი ჰქონდა, ამ ნაირი ბრძოლა დიდხანს გასტანდა, ქართველ ჯარს შეინახავდა, ხოლო მტრებს მოღალავდა, ნელ-ნელ დაათხელებდა მათს რაზმს, დაასუსტებდა და ბოლოს კლარჯეთის კლდე-ღრეებში საბოლოოდ დაღუპავდა ფიზიკურად და ზნეობით დიდის ხნის ბრძოლისაგან დაღლილს ჯარს, და თუ აქაც მტერს ვერ შემუსრავდა მეფეს ზურგს უკან კიდევ ჰქონდა ისეთი მიუდგომელი ციხეები, როგორიც იყო ქაჯთა ციხე იქვე, ზღვის ნაპირას, ქუჯის ციხე შუაგულ სამეგრელოში, ცხუმისა და ანაკოფიის. ყველა ამ სიმაგრეებს რომ მტერს გაატარებდა, კიდეც დაილეოდა არაბთა ლაშქრობა და ბოლოს დაიღუპებოდა, მაშინ როდესაც ქართველთა ლაშქრობა, მუდამ ციხეებს ამოფარებოდა, იმდენად არ დაიკლებდა და თან კიდევაც თან-და-თან ახალ რაზმებით შეივსებოდა თავის ქვეყნიდან მოწყვეტილ არაბების გასაწყვეტად.

ეს დიდებული გეგმაა! მაგრამ ამ გეგმის ასრულებასაც გენიოსური მიხვედრა უნდოდა, რომ ქართველი ჯარი ციხიდან ციხეში გადასვლის დროს მტერს ხელში არ ჩავარდნოდა, არ გაწყვეტილიყო ბრძოლაში და დევნის დროს. ამისათვის საჭირო იყო ციხეების გამაგრებაც. შიგ შეტანა დიდის ხნის ბრძოლისთვის საჭირო სურსათისა, საკმაო საომარ იარაღებისა, ჩაყენება ციხეებში საკმაო მეომრებისა ® შეგულიანობა გმირებად გადაქცევა ქართველ ჯარისკაცებისა წინააღმდეგ გამოცდილ ® მთელს მსოფლიოში სახელ განთქმულ არაბების ლაშქრობისა. ამ გეგმის შესრულება მკაცრ დისციპლინასაც მოითხოვდა და მეტად ფხიზელ ® ფრთხილ წინამძღოლს.

აი ამ გზას, ამ გეგმას დაადგა მეფე სტეფანოზ. ის სწრაფად ციხეებსა მაგრებს, ავსებს სურსათ-იარაღით, მეომრებით, რომელთაც შეგულიანება არ სჭიროდათ, იმდენად სძულდათ ქვეყნის დასაქცევად წამოსული არაბები. სტეფანოზი დამზადებული მოელოდა საზარელ მტერს სამეფოს საზღვარზე, ხოლო ხალხი უკვე შეხიზნული იყო მთებში, ყოველი განკარგულება წინდაწინ მიცემული.

მოულოდნელმა გარემოებამ სამიოდე წლით შეაგვიანა სარკინოზების შემოსევა და სტეფანოზ მეფესაც მთელი დრო მისცა კარგად მომზადებულიყო დასახვედრად: 705 წელს მოკვდა მიცის სამაჰმადიანოს მბრძანებელი ხალიფა აბდმელიქი და მისს ტახტზე ავიდა ხალიფა ველიტი (705—715), ნათესავი აჰმადისა.

ამიტომ მხედართ-მთავარი აჰმადი დიდის ძლვნით წავიდა სასომხეთიდან ქალაქ დამასკოში, რომელიც იმ დროს სატახტო ქალაქი იყო ხალიფებისა და წარუდგა მაჰმადიანეთის მბრძანებელს ველიტს, რომ ჩვეულებრივი პატივი მიეცა ახლად გახალიფებულის მბრძანებლისთვის და ნებართვაც აეღო საქართველო - კავკასიის დაპყრობისა. ველიტმა უბრძანა აჰამათს მთელის კავკასიის დაპყრობა და მისცა მას ორასი ათასი რჩეულ ლაშქარი. იმ დროს ამდენი ლაშქარი უთვალავად მიაჩნდათ და მეტად იშვიათად შეიკრიბებოდა. აჰმადმა შეჰფიცა ხალიფას: „არა ჩავაგო ხრმალი ქარქაშსა, ვიდრე შენი ბრძანება არ შევასრულოო“.

(შემდეგი იქნება)

თ. ჟორდანია.

**დ. ჭიათურა.**

სიძვირემ აქაურებს დიდად გაუძნელა ცხოვრება. ჭიათურელი ვაჭრები არ ჩამორჩნენ სხვა ადგილების თავვასულ ვაჭრებს და სანოვაგეს ისე ჰყიდიან, როგორც მათი ჯიბისთვის არის საწადელი. ამას რომ თავი დავანებოთ, თურმე ნუ იტყვით, ხსენებული ვაჭრები ხშირად ავადმყოფ საქონელს ჰკლავენ და უვარგის ხორცს აწვდიან ხალხს. ამის შესახებ საჩივარი უკვე აღიძრა.

## აჭარელთა გასამართლების რეზოლიუცია

ორშაბათს, 12 ოქტომბერს, დილის $9^1/_2$ საათზე, პროცესი მეცამეტე დღეს, 12 საათის თათბირის შემდეგ, მიხაილოვის ციხის სასამართლომ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: სასამართლომ დამნაშავედ იცნო მტრის ჯარში ჩარევისათვის 1) მაჰმუდ-ნეჯიბ-ოღლი, 2) ოსმან-მაჰმედ-ოღლი, 3) ორდიბეგ-კუკუმ-ოღლი, 4) ფაშა ხედში-ოღლი, 5) შაქირ-ისმაილ-ოღლი, 6) ქასან-ტეფიკ-ოღლი, 8) ნუსრეტ-ფეილულ-ოღლი, 9) ომერ-სალერ-ოღლი, 10) ქიამილ ყადირ-ოღლი, 11) ტეფიკ ალი-ოღლი, 12) მუსტაფ მამედ-ოღლი, 13) ბექირ მამედ-ოღლი, 15) რეფურხ შამილ-ოღლი, 16) ვეისელ ისმაილ-ოღლი, 17) შერიფ მაზლუმ-ოღლი, 18) მამედ იბრაგიმ-ოღლი, 19) რიდვან გულახმედ-ოღლი, 20) ტეიფიკ იბრაგიმ-ოღლი, 21) იუსუფ-მუხამედ-ოღლი, 22) ზუფერ მუხამედ ოღლი, 23) არუნა ბეილულ-ოღლი, 24) თამთან ოსმალ-ოღლი, 35) ვილა აჯი-ოღლი, 26) მოლლუ ფესადა-ოღლი, 27) ვენხი ახმედ-ოღლი, 28) ასან პერგვალ-ოღლი, 29) მუსტაფ ბაბან-ოღლი, 30) შუქრი იბრაგიმ-ოღლი; 31) მამედ ალი-ოღლი; 32) ჯაზაირ იხედ-ოღლი და 33) დურსუნა ახმედ-ოღლი.

ამის გარდა შექირ-ისმაილ-ოღლი, ტეფიკ-ალი-ოღლი და მეჯირ-მამედ-ოღლი, რომელთაც ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა სამხედრო წესების გამოცხადების შემდეგ, მაშასადამე, 109. 16, 22-23, 25, 28—30. 57 **მუხლის ძალით** სისხლის სამართლის კანონმდ. გამცემ. 1907 წ., 1627, 1629, 18, 22—25, 27—29, 125, სისხ. სამ. კანონმ. შესახებ გამოცემ. 1885 წ.—1906 წ. 10, 12, 16, 389 XXII წ. გ. 1869 წ. 4, 910 მუხ. და 2, 915, 916, 1128—1155, 1424 XXIV წიგ. დაადგინა: 1) ყველა ზემოდ ჩამოთვლილ პირებს ჩამოერთვათ ღირსება და წოდბრივი უფლება, ხოლო შაქირ ისმაილ-ოღლის, ტეფიკ-ალი-ოღლის და ვეკარ მამედ-ოღლის მიესაჯოთ სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით. ნუსეტ-თეილულ-ოღლის, ომერ სალეხ-ოღლის და ვეხნი ახმედ-ოღლის მიესაჯათ 15 წლის კატრღა, ხოლო დანარჩენ 27 ბრალდებულთ უვადო კატორღა.

რაც შეეხება ყველა 49 ბრალდებულთ, ვითომც ძალით შებრძოლებოდნენ რუსის სამხედრო ძალებს და თავზე დასხმოდნენ, რაკიღა ეს ვერ დამტკიცდა სასამართლოს გამოძიების შემდეგა ყველას უდანაშაულოდ სთვლის და სასამართლო ამართლებს მათ. ასევე უდანაშაულოდ სთვლის ა) მახმედ ნაჯიბ-ოღლი, რომელსაც ბრალდებოდა შეიარაღებული თავდასხმა ერთს ოჯახზე; ბ) მახმედ ბეჯიბ-ოღლი და სულეიმან ქემილ-ოღლი რომელსაც ბრალად ედება წინასწარ განზრახული მკვლელობა სხვა დამალულ პირებთან ერთად; 6) შერიფ მეზლუმ-ოღლი, რომელსაც ბრალდება ორჯელ ყაჩაღური თავდასხმა ერთს ოჯახზე, მაგრამ ვერაფრით კი ვერ დამტკიცდა ის საბუთებით.

ის განაჩენი, ვიდრე კანონიერ ძალაში შევიდოდეს, უნდა წარედგინოს მათს იმპერატორებით უმაღლესობას კავკასიის არმიის მთავარსარდალს.

ამასთანავე სასამართლომ შესაძლებელად სცნო იშუამდგომლოს მათს იმპერ. უმაღ. მთავარსარდლის წინაშე, განსაკუთრებით მახმუდ-ნაჯუბ-ოღლის სასჯელის შესამსუბუქებლად.

## ქიზიყის წუხილი

უპატრონოს ყველა სჩაგრავს. ქიზიყიც სალეწავად გაიხადეს ალვირ ახსნილმა ჩარჩებმა. მოგეხსენებათ, ქიზიყის სიმდიდრის წყარო თამბაქო გახლავთ. არ ვიტყვით, ვითომც თამბაქოს დამუშავება სამეურნეო ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად ჰხდებოდეს. არა, ამ მხრივ ჯერ კიდევ პირვანდელ მდგომარეობაშია იგი, არა რაციონალია პლანტაციების დამუშავება, მაგრამ უხვმა ბუნებამ იმდენი სიკეთე მაინც უყო, რომ ქიზიყელთ წლიურად 300 ათას ფუთამდე თამბაქოს აძლევს. თამბაქო სამხარისხოვანია. ეს კი ისეთი ჯამია, რომელიც მილიონებზე ლაპარაკობს. და თუ ქიზიყელი დღემდე მილიონებს ვერ იძენდა და ისევ ღარიბ ცხოვრებას ეწეოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის ბაზრის გზა. იგი პირველი იმას სთავაზობს, ვინც პატარა გროშს დაანახვებს. ოღონდ შრომის ფასი კი ჰქონდეს ანაზღაურებელი, თორემ ზედმეტს მოგებას იგი არც დაგიდევს და არც მოითხოვს. საუბედუროდ ეხლა საქმე ისე მოეწყო, რომ ხელფასსაც ვეღარ ინაზღაურებენ. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ ეს ხდება დღეს, როდესაც ყოველისფერი ასე მამასისხლადა ფასობს. ყოველისფერი გაძვირდა, ყოველისფერმა იმატა და ქიზიყელთა შრომის ფასმა კი იკლო. აი, ამისი მიზეზია, რომ ქიზიყელთ დღესაც შინ ულპებათ თამბაქო, საწყობი მათ არა აქვთ, ერთი და მეორე, შემოდგომას კი თან მოაქვს წვიმა, ავდარი. რად ხდება ასე? საქმე ის არის, რომ წინად ქიზიყელებთან პირდაპირ ქალაქის მეფაბრიკეებს ჰქონდათ საქმე. წრეულს, როდესაც საზოგადოდ ცხოვრება გაძნელდა, მათ ფეხი დააჭირეს ქიზიყელებს, გინდათ თუ არა, ფუთი 15—10 მანეთში მოგვეცითო. სთქვეს და წაბრძანდნენ. სამაგიეროდ მათი დამქაში დალალ-ჩარჩები დატრიალდნენ, მაზანდას ერთი ორადა სცემენ. როგორ მისცეს ქიზიყელმა ფუთი თამბაქო 15—10 მანეთად, როდესაც თვითონ 20 მანეთზე მეტი უზის? ეს ხომ პირდაპირი დაღუპვაა, განადგურება ჩვენი ქვეყნის პატარა მაგრამ ნაყოფიერი კუთხისა. ნუ თუ ქართველობას არ მოგვეპოვება ისეთი კაცი, ანუ დაწესებულება, რომელიც ითავებს, პატრონობას გაუწევს ქიზიყს, რომ შეაჩეროს ჩარჩთა თავ-გასულობა, იღონოს რამე მათ ხელში არ ჩავარდეს ესოდენი სიმდიდრე და ძველ მაზანდის მიხედვით მაინც ავანაზღაურებინოთ ქიზიყელთ თავიანთი შრომა? ნუ დავივიწყებთ, რომ გაწყალებულ პროვინციას წიხლის დარტყმა არ ეჭირვება, თორემ თუ ის გასაწყლდა, მაშინ ქალაქსაც არ ებედნიერების.

ქ—ელი.

## პროვინცია

**სოფ. საყუნეთი.** სოფ. საყუნეთი ახალციხის მაზრაშია, დაბა აწყვრის მახლობლად, სამაჰმადიანო საქართველოში. სოფ. აგარასთან (აწყვრიდან პირველი სოფელია, ახალციხისკენ) ბორნით გადახვალთ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და გაუდგებით საყურეთისკენ, რომელიც ერთი ვერსის მანძილზე იქნება აგარიდან. საყუნეთი პატარა ქედის კალთაზეა გაშენებული, აღმოსავლეთის მხარეზე. ბუნებას ძალიან უძუნწნია ამ მხარისთვის. პეიზაჟები აქ იმდენად თვალწარმტაცი და მდიდარი არაა; თქვენს ირგვლივ გადაიშლებიან ან ბორცვიანი მინდვრები ან გადახრიოკებული გორები; აქ ვერ ნახავთ ახლო-მახლო ამწვანებულ ტყეებს, ვერც ხავერდოვან ჭალებს; აქ არ არის არც ის ბროლისებური ცივი წყაროები, რომ ზაფხულის პაპანაქება-სიცხეში გამშრალი ტუჩები დააწაფოთ და გული გაიგრილოთ. გარეგნობით საყუნეთი ნამდვილ ძველებურ მესხურ სოფელს წარმოადგენს; ევროპიულ ტიპის სახლებს აქ ვერ შეხვდებით,—როგორც საზოგადოდ მესხეთის სოფლებში.—ხალხი მიწურ სახლებში ბინადრობს, რომელიც თითქმის ერთმანეთზე არის მიშენებული. ასეთ სახლებში ზაფხულობით საამო სიგრილე ჰსუფევს, ზამთრობით კი თბილა. სისუფთავის დაცვა არც ისე სავალდებულოდ მიაჩნიათ აქაურებს; ქუჩებსა და კარ-მიდამოებში საქონლის ნეხვი, დაკლულ პირუტყვთა შიგნეულობა და სხვა სიბინძურე უხვად ჰყრია.

მცხოვრებნი მომეტებულად ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას მისდევენ. მოჰყავთ სიმინდი, პური, ქერი, თამბაქო და სხვა. თითო-ოროლას ხეხილის ბაღებიც მოეპოვებათ. ხოლო მოსავალი წელს აქეთ ძალიან ნაკლები ყოფილა.

საყუნეთის მცხოვრებნი ქართველი მაჰმადიანები არიან. გადაგვარება არც ისე შეჰხებია მათ; აქ მრავლად შეხვდებით ნამდვილ ქართველ ტიპებს ორსავე სქესის წარმომადგენელებ შორის. მამაკაცები ბრგენი და ტანადნი არიან, ვაჟკაცურის გამომეტყველებით. ლამაზ ქალებსაც მოჰკრავთ თვალს, რომელნიც ხშირად არც იფარავენ სახეს. ქართველური ზნე და აღათი არ დაუკარგავთ, გაოცებთ მათი ზრდილობიანი და პატიოსანი ხასიათი.

ერთმა მოლამ მუხლებზე ხელები დაიშინა, როდესაც გზაში გვნახა, დაბრუნებისას,—ახ, რატომ იქ ვერ დაგხვდით რომ ღირსეული პატივი მეცა თქვენთვისაო.—ასე ჰნანობდა მოლლა.

ხალხს უყვარს ეკლესიასთან თავმოყრა, სადაც ისინი მამა-პაპათა დროის ამბებზე თუ საამდროვო ყოფა-ვარამზე მასლაათობენ, ნარევ, ქართულ-თათრულ ჟარგონზე, თუ შეიძლება ასე ითქვას. ქართული ენა, როგორც სამშობლო ენა, მათ უყვართ, ადვილად ვერ შეჰლევიან; ქართული იცის დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა; ერთმანეთს ლაპარაკს თათრულად დაუწყებენ და ამავ წამს ქართულზედ გადადიან. სწავლა განათლების მხრივ ძალიან ჩამორჩენილები არიან. სასწავლებელი არ მოეპოვებათ, ეროვნულ თვითშეგნების გამღვიძებელი არავინ არის, შეგნებულ მოღვაწეებს მოკლებულია მთელი ეს მხარე საზოგადოთ, და თუ თითო ოროლა ქართველი მასწავლებელი მოიპოვება, როგორც მაგ. აწყვერში, ისინიც იმდენად ზრუნავენ მაჰმადიან ქართველთა გასათვითცნობიერებლად, რამდენადაც მე ჩინეთის იმპერიისთვის. საყუნეთის ეკლესია წმ. გიორგის სახელზეა აშენებული. იგი პრიმიტიული ტიპის ეკლესიაა, პატარა, და შესანიშნავს არაფერს წარმოადგენს; ყურადღებას იქცევს მხოლოდ საუცხოოდ დაჩუქურთმებული ჯვარი, ჩრდილოეთის კედელზე, გარედან, და არშიებ შემოვლებული კარფანჯრები. ეს ორნამენტალია დიდებულ ტაძრებსაც კი დაამშვენებდა. ეკლესია სწამთ როგორც სასწაულთ-მოქმედი და მას მოკრძალებით და რიდით ეპყრობიან არა მარტო სალოცავად მოსული ქართველები არამედ აქაური მაჰმადიანებიც კი. გიორგობისთვის ათში, ეკლესიის დღესასწაულზე, საქართველოს ბევრ კუთხიდან იყრიან თავს თაყვანისმცემელნი, აქ ღამეს უთევენ და სამღვთოს სწირავენ ეკლესიას. ამ ეკლესიის სასწაულთმოქმედების შესახებ მრავალი, ლეგენდური ხასიათის ამბებია გავრცელებული, აქაურს თუ გარეშე ხალხში. ჩვენც ბევრი საინტერესო ლეგენდა გვიამბეს, რასაც სხვა დროს გავაცნობთ პატივცემულ მკითხველებს.

გოგია ხმალაძე.

**დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.**

თბილისის ლაზარეთში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარის კაცნი: ანდღულაძე ევგენი (ქენია) ივანეს ძე (პრაპორშიკი), სამუშია ტარასი, ცისკარაშვილი დათა ზაქარიას ძე, ნუცუბიძე პ. პეტრეს ძე, იასაშვილი ვასილ ივანეს ძე, ბუჯიჯიანი ნიკო აგ., ზივზივაძე სერგო იოსების ძე, ლომთათიძე ანდრო მაქსიმეს ძე, მაისურაძე მიხაკო ბესარიონის ძე, სირაძე იზ. მიხ., მაისურაძე სანდრო, ულიკაშვილი გ. დავ., თავართქილაძე ალისტრახო, თავართქილაძე მარკოზ ივანეს ძე, ელბაქიძე ვასილ, მაინგარია ივანე ანდრიას ძე, ბანდურაშვილი სოსია გიორგის ძე, აბაშიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე, ავალიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე (პრაპორშიკი), კვაცბაია ესტატე, საკარია ივანე სამსონის ძე, გელიშვილი ლევან აბრამის ძე, შვიდობაძე იასონ ლაზარეს ძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ქვემონაწერ განცხადებას თქვენი ფურცელის ახლობელ ნომერში:

— 1907 წლიდან მოსკოვში არსებობს „ქართველთა საზოგადოება, რომლის ერთი უახლოესი მიზანია—ქონებრივი შეწევნა მოსკოვში მყოფ ქართველობისათვის, უმთავრესად აქაურ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობისთვის. საზოგადოების დაარსებიდან გასულ შვიდი წლის განმავლობაში (1907—1914) იგი დაუყოვნებლივ აკმაყოფილებდა შესაფერ თხოვნებს და მისცა სესხათ და სტიპენდიუმათ სულ **726 თუმანი** და 8 მანეთი—110 კაცს, რომელთაგანაც ასზე მეტი მოსწავლე ახალგაზდაა.

ამ ფულიდან საზოგადოებას დაუბრუნდა დღემდის მხოლოდ **58 თუმანი** და 7 მანეთი.

ამასობაში საზოგადოების მევალეთაგან უკვე მრავალს დაუსრულებია სწავლა და ძალაც უძს გადაიხადოს სესხი და ამით შეძლება მისცეს საზოგადოებას გააფართოვოს თვისი მოქმედება მოსკოვის ქართველთა ახალშენის ეროვნულ, ქონებრივ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაურგებლად.

ამიტომ საზოგადოების გამგეობა მოაგონებს თავის მოვალედ მათ ზნეობრივ და უფლებრივ პასუხისგებას საზოგადოების წინაშე და სთხოვს იზრუნონ ვალის დაბრუნებაზე ან ერთდროული, ან დროგამოშვებით ფულის შეტანით.

იმ პირთ, რომელთაც რაიმე მიზეზისა გამო შეძლება არ აქვთ დააბრუნონ სესხი მახლობელ დროში—გამგეობა სთხოვს შემოიტანონ შესაფერი განცხადება არა უგვიანეს სამი თვისა და აღნუსხონ ამასთან ერთად თუ როგორ და როდის სახელდობრ ფიქრობენ ისინი ვალის გადახდას.

მისამართი: მოსკოვი, პოვარსკაია, სახლი ვ. სუხოდოლსკისა, 19 ბინა—ქართველთა საზოგადოებისა.

თავმჯდომარის ამხანაგი **მ. ზანდუკელი**, მოლარე **ნიკოლოზ ხორავა**, მდივანი **ი. კობიაშვილი.**

2 ღვინობისთვე 1915 წ.

ქ. მოსკოვი.

## შემოწირულება

**10 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო:**

პორუჩ. ლ. ტატიშვილისაგან (თფ. მეП ასეულში შეგროვილი) 38 მან., „თან. აზრის“ რედაქციისაგან 478 მან. 95 კ., სამეურნეო ბანკის მოსამსახურეებისაგან 7 მან., ხარფუხის საზოგადო კლუბისაგან (სეირნობის) 1667 მან. 35 კაპ., მ. ჯანაშვილის წიგნების გაყიდვით ხარფუხ. კლუბში სეირნობის დროს 9 მან. 20 კ., ქართ. სტუდენტების აჭარელთა დამხმარე კომიტეტისაგან 200 მან., სტ. ელიაძისაგან („ძმ. სიტ.“ გაყიდვით როსტოვში) 25 მან., დეკანოზ ხახუტაშვილისაგან („ძმ. სიტ.“ გაყიდვით ახალციხეში) 37 მან. 60 კაპ., შემტფონის წ. კ. საზ. განყოფილებისაგან „ძმ. სიტყვის“ 25 მ., კნ. ანნა ალექსანდრეს ასულის ამილახვრისაგან 5 მან., თ. დ. ალ. გურამიშვილისაგან 10 მან. ტრიფ. ქავთარაძისაგან („ძმური სიტ.“ გაყიდვით ხაშურში) 55 მან. 30 კაპ., ბავშვების შემოწირულება („ნაკადულის რედაქციისაგან“) 14 მან. 25 კაპ., ბ. მოევლიშვილისაგან („ძმ. სიტყ.“) 1 მან. 10 კაპ., სულ 2573 მან. 75 კაპ.

ქარ. საქ. საზოგადოება უკანასკნელად მიმართავს იმათ, ვისაც „ძმ. სიტყვა“ გაეგზავნა გაასწორონ ანგარიშები რაც შეიძლება მალე. ეს აგვიანებს საერთო ანგარიშის დაბეჭდვას.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღევის | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევის | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. | დილ. |
| | „ საგარ. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |

**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

# „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, **მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან